საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ივანიცკი-ინგილო რაფიელ ალექსანდრეს ძე

ივანიცკი-ინგილო რაფიელ ალექსანდრეს ძე (23. VII. 1886, სოფ. კახი, ახლანდ. აზერბაიჯანი, – 11. VII. 1966, მადრიდი, დაკრძალულია პარიზში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე), იურისტი, პუბლიცისტი, საზ. მოღვაწე.

სწავლობდა თელავის სას. სასწავლებელში, შემდეგ – პეტერბ. უნ-ტის იურიდიულ ფაკ-ტზე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა იურისტად, აქვეყნებდა პუბლიც. წერილებს („ინგილოს" ფსევდონიმით), ეწეოდა აქტიურ პოლიტ. საქმიანობას; იყო დამფუძნებელი კრების დეპუტატი საინგილოდან საქართველოში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922, ემიგრაციაში გაემგზავრა. ცხოვრობდა გერმანიასა (ბერლინი) და ავსტრიაში (ვენა), 1924–48 – იტალიაში (რომი). ი.-ი-მ 1942 იტალიურ ენაზე გამოსცა ნაშრომი „საქართველო და მისი მგოსანი შოთა რუსთაველი", რ-საც ახლდა „ვეფხისტყაოსნის" არასრული თარგმანი და გაფორმებული იყო რომის ოპერის თეატრის მხატვარ-დეკორატორის გ. აბხაზის ილუსტრაციებით.

1948 პარიზში კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის კურთხევით იგი თავდაპირველად დიაკვნად, ხოლო შემდეგ მღვდლად ეკურთხა. გაამწესეს მადრიდის წმ. ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძღოლად. მალე არქიმანდრიტის პატივი მიენიჭა.

ლიტ.: ბ უ ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ე., რაფიელ ივანიცკი-ინგილოს ბიოგრაფიისათვის, წგ.: რელიგიის ისტორიის საკითხები, თბ., 2010; პ ა პ ი ა შ ვ ი ლ ი ვ., ჰერეთის ისტორია, მოკლე ქრონოლოგიური მიმოხილვა, თბ., 2012; შ ა რ ა ძ ე გ., ქართული ემიგრანტული

ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 3, თბ., 2003; ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე ვ., „ვეფხისტყაოსნის" იტალიური გამოცემები, «საბჭოთა ხელოვნება», 1965, N11; ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე დ., ისტორიული პორტრეტები: დასაწყისი XX საუკუნისა, თბ., 2008.